საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. წალენჯიხა 24 / იანვარი / 2020 წ.

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17–00–17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha,Georgia Tel: 571 17–00–17 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameria@tsalenjikha.gov.ge

KA000024002859620

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის

## ბრძანება № 2-1/45

### წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $85^3$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, $85^4$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე 53-ე და 54 -ე მუხლების, საქართველოს მთავრობის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელიპროექტებისფონდიდანსოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის № 654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს მტავრობის 2020 წლის 16 იანვრის N34 დადგენილებისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები № 1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულდა დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართისმიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-საათიდან 18საათამდე, 2020 წლის 06 თებერვლის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

ა) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:

გელა სალია - მობილურის N 599 85 71 18 ელ. ფოსტა: gelasalia@gmail.com

ბ) ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი: ელგუჯა ძაძამია - მობილურის N599 07 62 90, ელ.ფოსტა: Guja112233@mail.ru

გ) ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: ლევან შენგელაია - მობილურის N599 93 45 03 ელ. ფოსტა: levanshengelaia.82@mail.ru

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

**დანართი N1**

| № | დასახლების სახელწოდება | საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო | გადაწყვეტილების მიღების ფორმა | პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზღვაია(775) | 11:00 / 10.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 2 | ზედა მაზანდარა(492) | 12:30 / 10.02 | საერთო კრების სხდომა | 16000,00 |
| 3 | ქვედა მაზანდარა(680) | 14:30 /10.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 4 | ლუღერა-სამცაცხვი(215) | 15:30 /10.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 5 | ხვითერი-საკალანდიო(379) | 16:30 /10.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 6 | ოჭანე (399); | 11:00 / 11.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 7 | ქ. ჯვარი (763) | 12:00 / 11.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 8 | ნაკა (42); | 13:00 / 11.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 9 | ჯვარი (3 157); | 14:00 / 11.02 | კონსულტაცია | 20000,00 |
| 10 | პალური (439) | 11.00 /12.02 | საერთო კრების სხდომა | 16000,00 |
| 11 | ლია (1523) | 12..00 /12.02 | კონსულტაცია | 20000,00 |
| 12 | ზედა ლია (402) | 13.00 /12.02 | საერთო კრების სხდომა | 16000,00 |
| 13 | მახარია (370) | 14.00 /12.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 14 | ლეთკანეთი (252) | 11:00 / 13.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 15 | ჯგალი (1022) | 12:30 / 13.02 | კონსულტაცია | 20000,00 |
| 16 | ლეხარჩილე (176) | 14:30 / 13.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 17 | ლეკაკულე (420) | 15:30 / 13.02 | საერთო კრების სხდომა | 16000,00 |
| 18 | ლესალე (169) | 16:30/ 13.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 19 | ზედა საჩინო(193) | 11:00 / 14.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 20 | საჩინო (838) | 12:00 / 14.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 21 | კუხეში (355) | 13:00 / 14.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 22 | ნაგურუ (320) | 14:00 / 14.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 23 | ლეძაძამიე (186) | 15:00 /14.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 24 | ეწერი (386) | 16:00 /14.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 25 | ლექარდე (168 ) | 17:00 /14.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 26 | ნაკიფუ (753) | 11:00 /15.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 27 | ულურია (368) | 12:30 /15.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 28 | ლეჟა (188) | 14:30 /15.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 29 | ნანჯარუ(170) | 15:30 /15.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 30 | სამესხიო (333) | 11:00 /16.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 31 | ჯაღირა (237) | 12:30 /16.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 32 | ობუჯი (706) | 14:30 /16.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 33 | მიქავა(393) | 11:00 /17.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 34 | ლეჯოლოხე (210) | 12:30 /17.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 35 | ლეღვინჯილე(167) | 14:30 /17.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 36 | მუჟავა (298) | 11:00 / 18.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 37 | ოლორი (264) | 12:00 / 18.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 38 | ნაშამგუ (157) | 13:00 / 18.02 | საერთო კრების სხდომა | 10000,00 |
| 39 | ჭალე (900) | 14:00 /18.02 | კონსულტაცია | 16000,00 |
| 40 | ფოცხოეწერი (306) | 15:00 /18.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 41 | ეწერფერდი (260) | 16:00 /18.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 42 | ჭველე (412) | 11:00 /19.02 | საერთო კრების სხდომა | 16000,00 |
| 43 | ფახულანი(273) | 12:00 /19.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 44 | წყოუში (343) | 13:00 /19.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 45 | ქალაღალი (292) | 14:30 /19.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 46 | ლეშამუგე (276) | 11:00 / 20.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 47 | ჩქვალერი (409) | 12:30 / 20.02 | საერთო კრების სხდომა | 16000,00 |
| 48 | მედანი (328) | 13:30 / 20.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |
| 49 | ლარა (240) | 14:30 / 20.02 | საერთო კრების სხდომა | 12000,00 |

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ცოტნე შონია